

ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნის საერთაშორისო გამოცდილება

რეზიუმე

მარიამ ღათაშვილი
სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი

ლავა-ბიოტეხნიკი ღათაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ტერმინი “ტრანსნაციონალური კორპორაცია” წარმოიშვა საერთაშორისო ტერმინოლოგიაში ცოტა ხნის წინ გასული საუკუნის 70-იან წლებში, მაგრამ მიუხედავად ასეთი ორგანიზაციული ფორმის განაწილებისა, ტნკ-ების ერთიანი განსაზღვრება ჯერ კიდევ არ არსებობს. ტნკ-ებისა და მასთან დაკავშირებული კონცეფციების ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი განმარტება მოცემულია UNCTAD-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია) ოფიციალურ დოკუმენტებში: “ტრანსნაციონალური კორპორაცია არის სააქციო საზოგადოება ან კერძო კომპანია, რომელიც მოიცავს სათაო კომპანიას და მის ფილიალებს. სათაო კომპანია წარმოადგენს ერთეულს, რომელიც აკონტროლებს ქვეყნის გარეთ არსებულ ქონებას.

უცხოური ფილიალი - არის ერთობლივი ან კერძო საწარმო, რომელშიც ინვესტორი ფლობს წილს, რომელიც საშუალებას მისცემს მას გრძელვადიანი ინტერესები გაატაროს ამ საწარმოს მართვაში. უცხოურ ფილიალში იგულისხმებიან შვილობილი და ასოცირებული ორგანიზაციები კომპანიები.

ასოცირებული კომპანია - არის მასპინძელი ქვეყნის სააქციო საზოგადოება, სადაც ინვესტორი ფლობს სულ ცოტა 10%-ს, მაგრამ არა უმეტეს აქციონერთა ხმების ნახევარზე მეტისა.

საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალური კორპორაციები, სააქციო საზოგადოება, კონკურენცია.

შესავალი

იმისათვის, რომ სრულად დავახასიათოთ თანამედროვე ტნკ-ების მდგომარეობა, აუცილებელია დეტალურად შევჩეროთ ყურადღება სხვადასხვა ქვეყანაში ასეთი კომპანიების წარ-

მოქმნისა და განვითარების ისტორიაზე. დასაწყისისთვის მოკლედ განვიხილოთ ამერიკული და ევროპული ტრანსნაციონალური კორპორაციები.

ამერიკულ ტნკ-ები ფლობენ მთელ რიგ დამახასიათებელ თვისებებს. ამერიკული ტნკ-ების ფუნქციონირებისა და განვითარების სამართლებრივი გარემოს სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენს ცალკეული შტატების კანონების მრავალფეროვნება. ამან საშუალება მისცა, მრავალ კორპორაციას ჯერ კიდევ შიდა ბაზარზე შეეშუშავენინა საკანონმდებლო და სხვა ადგილობრივი პირობების გამოყენების ძირითადი მოდელები მაქსიმალური სარგებლით. საერთაშორისო არენაზე გასვლის შემდეგ ამ კორპორაციებმა მოახდინეს ტრანსსაშტატო საქმიანობის უკვე შეშუშავებული მოდელების ადაპტირება ტრანსნაციონალურ გარემოსთან.

აშშ-ის ტნკ-ების წარმატებები დიდწილად აიხსნება მათი მდგრადი და პარტნიორული ურთიერთობებით სახელმწიფოსთან. სახელმწიფო თვალს ადევნებს საკუთარი კორპორაციების განვითარებას და ნაწილობრივ მართავს და კორექტირებას უკეთებს მათ განვითარებას. აშშ-ის მთავრობა გვევლინება არა როგორც ზედამხედველი, არამედ როგორც სრულფასოვანი და დაინტერესებული ბიზნეს-პარტნიორი. მაგალითად, 2000-იანი წლების ბოლოს ამერიკულ ტნკ-ებს სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ იაპონური კომპანიები. 2003 და 2016 წლებს შორის აშშ-ის წილი მსოფლიო საქონლის წარმოებასა და მომსახურებაში შემცირდა 23,1%-დან 21,4%-მდე, ხოლო იაპონიის წილი გაიზარდა 7,2%-დან 7,7%-მდე. 2001 წელს ათასობით მსხვილი ტნკ-დან 345 იყო იაპონური და 353 - ამერიკული. ამერიკ-

ის მთავრობა დაეხმარა თავის ტნკ-ებს: დაიწია გადასახადებმა, მოხდა კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია, შერბილდა ჰოლდინგების შექმნის პირობები.

აშშ-ის კომპანიები იოლად შთანთქავენ ფირმებს, რომელთაც დააგროვეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო გამოცდილება, აქტიურად განახორციელებენ რეფორმებს კომპანიებში, მზად არიან მოახდინონ სტრატეგიური პრიორიტეტების ვარირება სხვადასხვა ბაზარზე. ძლევამოსილი ტნკ-ები შედიან კიდევ უფრო ძლევამოსილ დაჯგუფებებში, რომლებიც ძირითადად ატარებენ არაფორმალურ ხასიათს. მართალია, ასეთი გაერთიანებების ძალაუფლება არ არის აბსოლუტური, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკაში. გაერთიანება და შთანთქმა წარმოადგენს ამერიკული ტნკ-ების ნების ბუნებრივ გამოხატულებას ეკონომიკური ძალაუფლების ზრდის საქმეში. თუ არ მოხდება ამ პროცესების რეგულირება და შეზღუდვა, მაშინ გარდაუვალია ბაზრების მონოპოლიზაცია, რაც აუცილებლად მიაყენებს ზიანს საბაზრო ეკონომიკას. აშშ წარმოადგენს მეტ-ნაკლებად დინამიკურად განვითარებულ ქვეყანას, რომელმაც პირველმა იგრძნო ეს საშიშროება და მსხვილი ტნკ-ების გამოწვევას უპასუხა მძლავრი ამკრძალავი და არა მარეგულირებელი, როგორც ეს იყო სხვა ქვეყნებში, კანონმდებლობით. სახასიათოა, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა აშშ-ში, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

ახლა სულ უფრო ხშირად საუბრობენ ახალ ამერიკულ ეკონომიკაზე, რომლის საფუძველს წარმოადგენენ კორპორაციები, ორიენტირებული მეცნიერებატექვადი პროდუქციის გამოშვებაზე. ჯერ კიდევ 2011 წელს ამერიკული ტნკ-ების ხარჯმა ინფორმაციასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე შეადგინა 112 მლრდ. დოლარი და გადააჭარბა ძირითად ფონდებში ჩადებულ ინვესტიციებს 107 მლრდ-ით. ამერიკელი მეწარმეები კი აკონტროლებდნენ მსოფლიო საკომუნიკაციო ბაზრის 40%-ს, საინფორმაციო მომსახურების ბრუნვის დაახლოებით 75%-ს და პროგრამული პროდუქტების ბაზრის 4/5-

ს. დღეისათვის დაგროვდა კვლევით სფეროში სკც-ების კრიტიკული მასა და წარმოიქმნა საინფორმაციო-ინოვაციური აფეთქება - თითოეული ინოვაცია ქმნის ჯაჭვურ რეაქცია სხვების წარმოსაქმნელად. ეს განაპირობებს აშშ-ის ახალი ეკონომიკის განუწყვეტლად სწორად ზრდას.

ყველა გერმანული ტნკ-ის ევოლუცია მიმდინარეობდა მსხვილი უნივერსალური ბანკების ძლიერი ზეგავლენის პირობებში, რომლებიც შეიქმნა ჯერ კიდევ XX საუკუნის ბოლოს მრეწველობის მხარდასაჭერად და მთელი თავისი საქმიანობის განმავლობაში ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირს სახელმწიფოსთან.

საფრანგეთსა და იტალიაში მთავარ ტენდენციას წარმოადგენს სახელმწიფო ჰოლდინგების ნაწილის ეტაპობრივი და წინდახედული პრივატიზაცია. ეს დამოკიდებულია იმაზე, რომ ამ ქვეყნების ტნკ-ებმა მიაღწიეს სიმწიფის გარკვეულ დონეს, სადაც უკვე შეიძლება უარის თქმა სახელმწიფოს დახმარებაზე. მაგალითად, იტალიის მთავრობამ 1991 წელს, გამოაცხადა რა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, თანდათანობით დაიწყო სახელმწიფო კომპანიების გადაქცევა აქციონერულ საზოგადოებებად, რომელთა აქციები პერიოდულად გადის ბაზარზე მცირე პარტიებით, პირველ რიგში, სახელმწიფოს მოგების გაზრდის მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, აქციების საკონტროლო პაკეტის ერთ ხელში კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად.

ტრანსნაციონალური კორპორაციების აქტიური განვითარება განვითარებად ქვეყნებში დაიწყო მხოლოდ უკანასკნელ ოცნელეულში. შეიძლება გამოიყოს განვითარებადი ქვეყნების რამდენიმე ჯგუფი, რომლებშიც შეიქმნა ეროვნული ტნკ-ები. მათ მიეკუთვნებიან, პირველ რიგში, აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნები - ტაილანდი, ტაივანი, მალაიზია, ფილიპინები, ინდონეზია; ლათინური ამერიკის რიგი სახელმწიფოები - არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, კოლუმბია, ველესუელა, ჩილე; სამხრეთ აზიის ყველაზე მსხვილი სახელმწიფოები - ინდოეთი, პაკისტანი; ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო - ეგვიპტე, საუდის არაბეთი. ჩამოთვლილი ქვეყნების ტნკ-ები მეტად განსხვავებული არიან, თუმცა ყველა საერთაშორისო კომპანიებს

მენეჯმენტის პრობლემები

ახასიათებთ საერთო თვისებები. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თავიდან განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ები ისწრაფვიან განახორციელონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გეოგრაფიულად ან ეთნოკლტურული ნიშნების მიხედვით ახლომდებარე ქვეყნებში, მაგ., ჰონგ-კონგი, სინგაპური, ტაივანი (ჩინური კორპორაციები) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდ მასას ახორციელებენ ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვან

როლს ასრულებენ ჩინური დიასპორები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ინდოეთი ანალოგიურად მოქმედებს ინდოეთის ოკეანის, აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, რომლებიც ტრადიციულად ინდური კულტურის გავლენის ქვეშ არიან და აქვთ მნიშვნელოვანი დიასპორები. ლათინური ამერიკის ქვეყნები ძირითადად ახორციელებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს თავისივე რეგიონში.

International Experience in Creating Transnational Corporations

Mariam Datashvili
Assistant-professor of GTU

Lasha-Giorgi Datashvili
Doctor of Business Administration

Summary

The term “transnational corporations” were established few years ago, in 70’s of last century. The real definition of these word doesn’t exist yet, but most accurate definition of these word is given by UNCTAD (United Nations Trade & Development Conference) in its official documents: “Transnational Corporation is a joint stock company or private company that includes the head company and its affiliates. The head unit represents the unit that controls the household property outside the country.

Foreign Branch - is a joint or private enterprise where the investor owns a share that will allow him to carry out long-term interests in the management of this enterprise. Foreign branches mean subsidiaries and associates of companies.

Associate Company - is a host nationwide joint venture where the investor owns at least 10% but not more than half of shareholders’ votes.